წელიწადი 1-ლი

ტელეფონი № 76.

შაბათი 15 აპრილი 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლიურად . . . 15 მან.
ნახევარი წლით . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი ფასი 5 კ.
ფულიანი ხელის მოწერლებს ბაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილ გადაიხადონ: ხელის მოწერისას 5 მ. ხალი თვის შუამდე 5 მ. და დანარჩენი სეკტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე ტეტრეტი ღირს . . . 25 მ.
უანესკნელ გვერდზე . . . 15 მ.
[illegible]
[illegible]
[illegible]

მელი ხალხის სოლიდარობა და ეერც ჩვენში შეასუსტებს. რა არიან ამერიკის შეერთებული შტატები, შეიერაირის კანტონები, გერმანიის იმპერიის სამეფონი, თუ არა სიერთო სახელმწიფოს სრული ავტონომიური ნაწილნი? მაგრამაკ მშრომელთა ხალხის ერთობა ბევრად უფრო მტკიცეა, ვიდრე უნიტარულ-ცენტრალური საფარგლეში, და სოციალიზრადიკალურ ცვლილებას შესაძლებელია უფრო ადრე მოესწრონ ამერიაელები, შეიეაირელები და გერმანელები, ვიდრე ცენტრალიზმის მიმდევარი ფრანგები. ჩვენ ღრმათ ვართ დარწმენებული, რომ საქართველოს ავტონომია ბევრათ დაჩქარებს სოციალურ ცვლილებს ქართველთა შორის და დაეხმარება მის დროიანათ განხორციელებას თვით რუსეთში".

ავტონომიას ჩვენ ში თხოულობს თითქმის ყველა პარტია: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სოც. ფედერალისტები, სოც-რევოლიუციონერები, ერთი ნაწილი სოც. დემოკრატიული პარტიისა; ავტონომიას თხოულობს მრავალტანჯული ქართველი ერის წარსული, აწმყო და მომავალი.

მაშ რაღას ვკინკლაობთ!.. რას ვიბრძვით. რად ვეროიკნობთ. რად ვიღანძღებით, რად დაგვიკარგავს თავმოყვარება. ნუ თუ ამაების დროა ეხლა?..

ქართველი ერის გულშემატკივარნო, დიდო და პატარავ, მოხუცო და ჭაბეკო, ყველა მიმართულებისა და რწმენის მოკლაქენო, ჩაუკვირდეთ დღევანდელ დღეს, ნუ ვაყოვნებთ, შეეერთდეთ და ერთსულოვნად მოვესთხოვთ მომავალ დამფუძნებელ კრებას საქართველოს ტერიტორიული ავტონომია; ამ სამართლიანი მოთხოვნის ნურც შეგვრცხვება, ნურც შეგვეშინდება!..

თუ რუსეთის სხვა ერებმა მიიღეს ჩვენც მივიღებთ, თუ მათ უარი უთხრეს ჩვენც გვეტყვიან.. ამ ერების შეცდომაზე ვაილაპარაკებს ისტორია, დაე ჩვენ შეცდომაზედაც დაილაპარაკოს.

ვემზადოთ. საუცხოო დროა!.. თუ ეს დრო გაუშვით და რუსეთის სხვა ერებთან ჩვენც არ ეუწყენეთ ჩვენი სახე მომავალ დამფუძნებელი კრების, მერე დიდხანს დაგვჭირდება ლოდინი...

„ცა ასოწელიწადში მხოლოდ ერთხელ იხსნება", დავაბოლოვებ ჩემ წერილს დიდათ პატივცემულ ივ. გომართლის სიტყვებით...

გორგი.

ქართველ გლეხოვანს.

დღევანდელ ჩვენს გაზეთში მოსკოველ გაზ. „უტრო როსსიიდან" გადმობეჭდილია წერილი სათაურით „გლეხური რუსეთი". ამ წერილიდან ნათლად სჩანს, თუ როგორ ამზადებს ხელნაფუვანელი საზოგადოება რუსეთის გლეხობის დამფუძნებელ კრებისთვის. რუსეთში დაარსდა სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი, რომელიც ეცნობა მომენტის კითხვებს და გლეხთა მოკმეფიენს. „უტ როს" მოიოხოვს, რომ კავშირმა მოიწვიოს სრულიად გლეხთა ყრილობა. ეს ყრილობა დამფუძნებელ კრებისთვის წინასწარ მოამზადებს რუსეთის გლეხობას. რომელიც ხსენებულ კრებაში დიდ უმრავლესობას შეადგენს. სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობა აგრეთვე ითათბირებს მიწის კითხვაზეო: აი, ასე მოქმედებენ განახლებულ რუსეთში ჩვენი უფროსი ძმა გლეხები. საქართველოც მიწად მოქმედი ქვეყანაა, მის 1 მილიონ ნახევარ გლეხს თავის მწვავე კითხვები აქვს გადასაჭრელი და მოსაგვარებელი. რუსეთის ქვეშევრდომი აკლდათ პირადი თავისუფლება ეს თავისუფლება ეხლა მოპოვებულია. ქართველი გლეხი კი გარდა ამისი. განიცდიდა ეროვნულ შევიწროებას. მას ,არ ათქვევდენ დედა ენას, სამართალს და ეკლესიას. აბედნიერად, ამ შავბნელ დროს მოვშორდით, ოესეთი თავისუფლად სულთქვაქს.

ქართველი გლეხობაც ბორკილებისგან დახსნილად გრძნობს თავს. ეს ასე უნდა მოხდარიყო, მაგრამ ქართველი გლეხის ცხოვრების სრულ განახლებისთვის და მის სასურველ საფუძველზე მოწყობისთვის მიუცილებელია, თვითონ ქართველი გლეხობის მონაწილეობა. დამფუძნებელ კრებამდე ქართველ გლეხობასაც ჰმართებს წინასწარი მომზადება. ქართველმა გლეხობამ დამფუძნებელ კრებაში ისეთი პირები უნდა გაგზავნოს, რომელნიც უპირველეს ყოვლისა მოითხოვენ ქართველ გლეხობის ცხოვრების მოწყობას და დაიცავენ მის ინტერესებს.

ქართველ გლეხს სჭირია მიწის საკმის მისდა სასურველად მოგვარება, ქართული სასამართლო, მის ცხოვრებასთან დაკავშირებული ქართული სკოლები, გზების გაყვანა, სამკურნალოების დაარსება, მეურნეობის ახალ საფუძველზე გარდაქმნა, ახალ შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობათა და დამზღვევ საზოგადოებათა დაარსება. ჯველა ეს ახლავე უნდა გაითვალისწინოს ჩვენმა გლეხობამ. მით უმეტეს, რომ ჩვენ ვართ განაპირა ქვეყნის მეხოვრებნი და უფრო მეტი მოუხდება გვმართებს დამფუძნებელ კრებისთვის ვიდრე შიდა გუბერნიებისას.

ჩვენის აზრით, აუცილებლად უნდა მოხდეს ქართველ გლეხთა წარმომადგენლების ბჭობა, რომელიც შეიმუშავებს ქართველ გლეხთა მოთხოვნილებებს დამფუძნებელ კრებაზე წარსადგენად. ქართველ გლეხობას უნდა ახსოვდეს, რომ მის კეთილდღეობას შეაქნის მხოლოდ მისი ცხოვრების საკუთარ ხელში გადმოსვლა, საკუთარ სუფრელებზე დაყენება. ქართველ გლეხს ესდა ახსოვდეს, რომ საქართველო, ეროვნულად დენილი, დღეს სრულიად უნდა განთავისუფლდეს და მისს, სწორუფლებიან უფროს რეს ძმას გვერდში ამოუდგეს. ქართველი გლეხობა იცავდა ძველად საქართველოს, მან შეინახა ჩვენი ენა, ჩვენი კულტურა და მანვე უნდა დაიცვას დღეს იგი... დღეს ეს დაცვა უფრო საადვილოა... დარწმუნებული ვართ რომ ამას გრძნობენ ქართველი გლეხები, და ისინი მოახდენენ სრულიად საქართველოს გლეხთა ბჭობას,რომელზეც დასახელებული პირები ქართველი ერის სახელით წარუდგებიან დამფუძნებელ კრებას.

ი **იმერელი.**

ქაროული პრესა

გაზ. „სახ. ფურ". ვრცელ წერილს უძღვნის სურსათის მოუწესრიგებლობას რუსეთში:

მართალია სიმჭარის ნაადგზე დაინგრა ძველი რუსეთი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ კიდეკ უფრო არ ვართულდეს მდგომარეობა, ცხოვრება არ გაჭირდეს. ის ჭრელი მსხსა, რომელსაც მომხმარებელი ეწოდება, არ ჩეს არა რეკქტასა და რეგულიუციას, არაგნად ამ მოაწრიალს, რომელიც მას იფიდ და ბლიმად აწყალს სასვეალს და საჭეშდელ. აა ასეთი ელემენტრული და ბრამეტელია მომხმარებლეობის ფალოსოფია და სწორედ ეს არის სუფეველური. თუ ცხოვრება გართულდა და გაგრძელდა, მომხმარებელი ისევ გამოფინანსებას ქეჩებში, როგორც ეს ბეტრა. გრადმა მოხდა 22—23 ოქტომბერს და ნაკეხებით შეეარძოლებიან ენსაეარნა ბალეფიდ, იქნებიან ისინი რეგულიუციის ძალაფლინერეზე თუ რეკქციის ენდარმეზა. გაზეთი აღნიშნავს, რომ სასურსათო საკითხის გადაჭრა უაღრესად ძნელია.

ვერ დეფხლვეთ, რომ ეს ფრიად რთული საქმეა და ხალხს ამჟამად უზრუნველეოფა ისაფი სიზარდოთი, რაც სმა ეწოდ განმავლობაში ბიეროკრატიამ სავსებით დასცალა ბაზრები—ბარდხარ მოეხერხებელია. მაგრამ ეხლა ისეთი მომენტია, რომელ საძეარეზე ფაბრიკეი თითქმის შეუძლებელი ხდება. სიშინეკი სიქეარე კი არ არის, არამედ სიმშიდია.

ხსნას გაზეთი შემდეგ საშუალებებში ხედავს:

რასაირად უნდა ვიმუშაოთ, რომ სანოვაგის ფიფინ მიხერხდეს? წარმოება უნდა გაეადგილოთ. დღემდე ამ მხრით ეეფრადეება არ მეგვიქეეეთ. განაწილდეს სეეფრი ოეო ჩვენი ეეფრადეების სკანა. დღეს კი ეს სფერო დაეეეფრა, გასხეეფდეედი ადრა ერთ-რა. წარმოების გადიდება კი შეაძლებელ ორის საშუალებით: 1) ფსიქოს გადიდებით, 2) სახელმწიფოებრივ იძულებით წარმოების შემოღებით.

ბოლოს „სახ. ფურ". მოჰკავს მუშ. და სალდ. დეპუტატების საბჭოს გაზეთის აზრით, შეუფერებელი განკარგულება, რომელიც სასურსათო კითხვის მოწესრიგებას შეაფერხებს:

გუშანწინ ბაზეოშა უკვე ოეო დიბეკდადი, რომ მეეტაბის და ჯარისკაცთ საბჭოს დაუგენითთ ნახრდან კანთავისეუ ფლოს ფარფეკეულობა და ბაკალტრეეა. ჩვენ არ ეიეეთ, თუ რა ბრიანეკეოთა ექნეა საბჭოთა დადგენილებას, რადგანაც ასეთ საქმეკეთაოვის საგანგეკი ორგანიზაციეეა დარსებეულ. თუ ხეანებეულ აქტი ცხოეერაში ბეტრად,ეეეკეკეთ ან, ძალიან ცუდ მდგომარეობას შექმნის. იმატომ, რომ ნახრადან კანთავისეუფლება საქართველოს ნაწარმოების, ხალი ნახრის ქეეშ მოქცევა სამეეურნეო ნაწარმოებისა ეანარსრთდა. ეს არის ფაბრიკეტების ინტერესების დაცვა სოფლის კლეეობის სახარად.

ახალი მთავრობა

მოსკოვი, 10 აპრილი. მთელი რუსეთის ქალაქთა კავშირის წარმომადგენელთა მეექვსე ყრილობის გუშინდელ კრებაზე მიწად მოქმედების მინისტრმა შინგარევმა შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა პეტრის მონოპოლის შესახებ: პეტრ რუსეთში არც ისე ბევრია, როგორც ვეეგონია. მინისტრმა გაარკვია იმ მოვლენის მიზეზები, რომ ხალხს საპროგაზე მეტი პური გასაყიდათ არ გამოქონდა, აღნიშნა რა საშინელ მდგომარეობაში იყო ახალი მთავრობა ძველი სასურსათო საქმის ხელში აღებისას და ის დასკენა გამოიყვანა, რომ პური მანც საყოფი არის, ოღონდ საქიროა მისი რიგიანად დანაწილება და გამოზოგვა, რაც მხოლოდ სახელმწიფოებრივ მონოპოლიით არის შესაძლებელი. თვის მოქმედებაში სამინისტო დაეყრდნობა კოოპერატივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა; ამავე დროს ის კერძო ვაჭრობის ინიციატივასაც არა ჰყოფს უარს. თავისი სიტყვა მინისტრმა შემდეგი მოწოდებით დამთავრა: მიეცით სახელმწიფოს პური, რა დგან წინაადგდეგ შემთხვევაში შეუძლებელია თავისუფლების შენარჩუნება და რუსეთის უზრუნველყოფა. სადამის კრებაზე განხილიეს ახალი საქალაქო წყობილების პროეეტი. მიიღეს სოციალისტურ ჯგუფების მიერ შესწორების შეტანის შემდეგ. დასწეის სასაკო ცენზი აკტიური და პასიური არჩევანის უფლებისა.

სამხედრო მინისტრის მოგზაურობა ოდესა. 10 აპრილი. სადგურზე გუჩკოვს დახვედნ წარმომადგენელნი სამხედრო და სამოქალაქო მართველობისა (ადმინისტრაციისა) და იუნკერთა და პარტიათა დეპუტატთა საბჭოსი. მინისტრმა იუნკრებს სამსახურისათვის მადლობა გადაუხადა.

ჯარისკაცთა და ოფიცერთა დეპუტატების კომიტეტს თავმჯდომარე მიესალმა მინისტრს, რეკორც მოქალაქეს. გუჩკოვმა სთქვა: უნდა გავიმარჯვოთ. საკმარია წესრიგის დაცვა მაგრამ არა ძველებურად, არამედ ისე, რომ დისციპლინა ადამიანის ღირსებაზე იყოს დამყარებული სახელმწიფოს მშვიდობიანად მოწყობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მტერი დათრგუნვილია. მაშინ ბადაწყდება ბლეხთა საკითხიკო. გუჩკოვი „ოუა"ს ძახილით გაიცილეს ოლქის შტაბისაკენ. ოლქის შტაბში გუჩკოვმა ჯარს მოელაპარაკა.

თქვენი სინიდისის მიხედვით იმსახურეთო. ჯარისკაცი სეიფერტი, რომელიც არა ,ეთილ საიმედო პირათ ითვლებოდა და ამის გამო ვერ ეღირსა წარმატებას, პრაპორშჩიკად დაინიშნა.

მინისტრმა მოილმინა მოხსენებები სურსათის შესახებ შავი ზღვის ფლოტის უფროსის ამირბარის კოლჩაკისა, ოლქის ჯარის უფროსის ებელოვისა და შტაბის უფროსის მარკსისა. ავდეკოფობის მიუხედავად მინისტრმა პროგრამის შეცვლა არ ისურვა.

შუადღეს გუჩკოვი ოფიცერთა და ჯარისკაცთა დეპუტატების კრებაზე მივიდა. მას „ეურა"თი და მარსელიოზით შეხვდენ. თავის სიტყვაში გუჩკოვმა აღნიშნა: ჯერისევ მანჯურიის ბრძოლაში დაეარწმუნდი, რომ ჩვენს ჯარს სამხედრო ორგანიზაცია აკლდა. ფიკი დადევეი მთელი ძალლონე ჯარის გადაქმნისათვის შემეწირაო. მერე მინისტრი მოუეეა კრებს თუ რა აეუწელი დაბრკოლებანი გადაეღობა მას სახელმწიფოს დაცვის კომისიაში მუშაობისას ისეთ პირებთან, როგორც იყო მოლალტე სუბბოტნოვი. მე მწამს, თუ ძველ რუსეთს ვემსახურებოდით ,ახლისათვის ყოველმა ჩვენთაგანმა თავი უნდა გასწიროსო. სიტყვამ დიდი ოვაციები გამოიწვია. მერე მინისტრი სამხედრო სამრეწველო კომიტეტის კრებას დაესწრო. აქ მას უჩვენეს რუსეთის დაცვისათვის მომუშავე ოდესის ქარხნების ნამუშევარი. ნარეკაბდ მიართვეს საკუთარი წარმოების „ლოფეტი." დაესწრენ ეზელოეი კოლნაკი და ბრანკეეინი. უკანასკნელმა მინისტს მისასალმებელი სიტყვა უთხრა, სადაც ღენიშნა გუჩკოვის ღვაწლი სამხედრო სამრეწველო კომიტეტების შექმნაში. გუჩკოვმა საპასუხოდ ,უთხრა კომიტეტს სამუშაოს უკეთოვდენ, მაგრამ ლითონნები კი არა ქონდათო. მინისტრმა აღნიშნა მუშათა ჯგუფების როლი რევოლიუციაში. მინისტრს მიესალმენ უკრაინელთა, პოლონელთა, სამხედრო სამრეწველო კომიტეტის მუშათა ჯგუფისა და სტუდენტების წარმომადგენელნი.

ერთმა ორატორმა სთქვა ველით თხრილებში და მანკანებთან გაწვეთას. მინისტრმა უპასუხა: ერთხელ და უკანასკნელად უნდა ავიცილოთ მილიტარისტულ გერმანიის მუდმივი საფრთხეო. გუჩკოვის მხლებელ ექიმის თხოვნით კრება დაიხურა. გუჩკოვი სასტუმროსაკენ გაეგზავნა, სადაც ქალაქის მართველობის წევრები მიიღო. 5 საათზე საპანაკო ველზე „პარადი იყო. მინისტრმა მადლობა გადაუხადა ჯარსა და მის უფროსებს. მერე სასტუმროში დაბრუნდა, სადაც მისი თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს „სანიტარულ ოდესამ" ჯარის ზურგისთვის დასახმარებლად. თათბირის შემდეგ მინისტრმა ინახულა პლატონოვის პოლკი და საზღვაო „კომანდები". ჯარს მოუწოდა განახლებულ სამშობლოს საკეთილდეოთ იმუშავეეთ.

კატერინი (პატარა გემი) მინისტრი სამხედრო გემზე ავიდა ბაქანიდან უთხრა სიტყვა მატროსებს. მას პატივსაცემად გემზე სალიღი გაუმართეს. აქედან წვიმის მიუხედავად გუჩკოვი საღგურზე გაემართა. დიდძალი ხალხი მას აღტაცებით ხვდებოდა. სადგურზე დიდი ოვაცია გაუმართეს. საღამოს 8 საათზე გუჩკოვი მარსელიოზის ჰიმნით ბანაკისაკენ გაიცილეს.

გუჩკოვი რეშინოეში

ალსი, 10 აპრილს. ჯარის კაცთა და ოფიცერთა ორგანიზაციების დელეგატების მიღებისას გუჩკოეამ მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა. რევოლიუციი ჯერ კიდევ განსაცდელშია. ხსნა მხოლოდ ქარხნებსა და რკინის გზებს შეუძლია გამუდმებით უნდა ვიმუშაოთ. საერთო სურეველით და ძალით რუსეთში სამაგალითო წესრიგი უნდა დავამყაროთ. სასურველ შედეგს მხოლოდ მაშინ მივაღწევთ. ახლა კი ცდა შეუძლებელია. მტერი ცხვირწინ ვვადგას. უნდა შევერიდეთ. მტერი ჯერ კიდევ ძლიერია. ის სასოწარკვეთილებას ეძლევა და ბოლომდე იბრძოლებს. ჩვენს თაობას მეტად მწარე ხვედრი ერგო.

ეს ხვედრი ბედნიერებას მვეტანს ჩვენ, დაე ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს. თუ ომი ვისიმე მოგებით არ დამთავრდა, გერმანელები დაისენებენ და ისევ თავს დაგვესხმიან. ხოლო ახალ ომისათვის ჩვენ ვერ მოვეემზადებით. ჩვენ დაგვანგრევენ. უნდა დავამხოთ ავსტრია და მერმანეთი. დაეხმარეთ დროებითი მთავრობას. დაბეჯითებით მოითხოვეთ, რომ ერთსულ ოენად და ერთი მიზნით გატაცებული ვიყეეთ. მთავრობასა და ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს შორის კონფლიკტის შაში უსაფუძვლოა. ისინი შეთანხმებულად მუშაობენ ჯარის ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებულ იქნება საერთო ნორმალური წესდება.

ორგანიზაციათა დელეგატებმა ერთხმად უპასუხეს მინისტრს, დროებითი მთავრობის ბრძანებას დავემორჩილებთ და მზადა ვარ ბასმშობლოს სიკეცხლე შეეწირეთთო.

უცხოეთი.

აფეთქება.

ჰაგა. 9 აპრილი. 7 აპრილს ვილჰელმსჰაფენში საშინელი აფეთქება მოხდა, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა გარემის რამდენიმე ათეული ეერსის მანძილზე.

მანიფესტაცია ამერიკის პატაგსაცემად.

ბარაზი. 9 აპრილი. ამერიკის პატივსაცემად დიდებული მანიფესტაცია გაიმართა. ორატორები აღტაცებული იყვენ ამერიკის შემოერთებით.

ამერიკის მზადება დასახმარებლად.

ნიუ იორკი. 9 აპრილი. 130,000 კაცმა რუზველტის საეკსპედიციო კორპუსში ჩაწერის სურვილი განაცხადა. კორპუსი საფრანგეთს მიემგზავრება. იმართება ფერმერთა ორგანიზაციების კრებები სასურსათო კომპანიის რთულ საკითხთა გადასაჭრელად. გუბერნატორის მოწოდება ამის შესახებ ამბობს: დათესეს დრომ მოაწია. მოიწიეთ დიდი მოსავალი, რადგან მთელი ქვეყანა სურსათის ნაკლულოვანებას განიცდისო.

ინგლანდია და ამერიკის დამოკიდებულება.

სტოკჰოლმი. 9 აპრილი. ,ჰაგიდან იტყობინებიან: საგარეო საქმეთა სამინისტრო საგულვალოდ აცხადებს, რომ ამერიკის კონგრესზე შეტანილი ,ინგლისის კანონპროექტი ამერიკიდან ,ინგლისი მასალის გატანის შეზღუდვის შესახებ. ვაშინგტონში მყოფ პოლონეთის ელჩს ბალოს ოფიციალურ ,ენაზე ,ეს ,ეს ,ეეე

პოლონეთის დროშები.

4 აპრილს მოსკოვში ჩავიდნენ პოლონელთა დეპუტატები, რომელთაც ძველი პოლონეთის დროშები უნდა ჩაიბარონ. ეს დროშები როგორც პეტროგრადის საგენერალო გადმოგვეცა გუჩკოვის განკარგულებით გადაეცემათ პოლონელებს. დროშები სამხედრო მუზეუმში ინახება. დროშების გადაცემა ზეგამოთ მოხდება. დაესწრებიან მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის პოლონურ პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლნი.

ლ ი ტ ვ ა.

მინსკი. ლიტვის სარაიონო ყრილობამ მიიღო რეზოლიუციია, რომლითაც იგი ლიტვისათვის საქართველო სცნობს დემოკრატიულ თვითმართველობას ფედერატიულ საფუძველზე დამყარებულს, მინსკში დაარსეს ლიტველთა დემოკრატიული კლუბი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავის გარშემო.

ავსტრალიის დეკლარაცია.

„კორესპონდენტის ბიურო“ იუწყება: რუსეთის დროებითი მთავრობის 28 მარტის დეკლარაციით ავსტრიის მთავრობა დარწმუნდა რომ ამიერიდან რუსეთი აღარ ისწრაფვის სხვა ერთა დასამონებლად და სხვის ეროვნულ საგანძურის შესალახავად განახლებულმა რუსეთმა უარყო დაპყრობითი პოლიტიკა და დღეს იგი მოითხოვს მტკიცე ზავს, საერთაშორისო უფლებებზე დამყარებულს, და ერთა თვითგამორკვევას. ამ რიგად რუსეთის და ავსტრო-უნგრეთის მრწამსი წარმოებულია ერთ მანეთს ეკმოვება, ერთი და იგივეა. ჩვენ გვწამს, რომ დღეიდან რუსეთის და ავსტრო უნგრეთის მმართველობები, ერთი გზით ივლიან დიდი სახელმწიფოთა მშვიდობიანობიან ცხოვრების პირობათა აღსადგენად და გასამაგრებლად. რუსეთის დეკლარაციაში გატარებული აზრი 1916 წ. ცენტრალურმა სახელმწიფოებმაც გამოაქვეყნა ავსტრიის იმპერატორი მზადაა რუსეთის დროებითს მთავრობას სათანადო ანკარაში გაუწიოს და ყოველ გვარად ეცადოს მტკიცე ზავის ჩამოგდებას. „ნისდღიონე ალგემაინე ციტუნგი“ სწერს: რუსეთის დროებითი მთავრობის 28 მარტის დეკლარაცია ზოგიერთ არსებით პუნქტებში სრულიად სთანხმდება გერმანიის და მის მოკავშირეთა მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციათ. გერმანია სრულიად იზიარებს რუსეთის მრწამსს, მაგრამ საჭიროა რუსეთის შვილებმა იცოდენ, რომ მისი მოკავშირენი, რომელნიც გატაკებულნი, არიან დაპყრობისა და ანექსიების მოხდენის სურვილით, ასე ადვილად არ დასტოვებენ ბრძოლის ველს და აიძულებენ რუსეთის ხალხს მათთან იბრძოლოს უკიდურეს დღემდე, თორემ გერმანია ყოველ წამს მზად არის დაიწყოს სამშვიდობო მოლაპარაკება იმ საფუძვლების მიხედვით, რომლებიც შექმნან შეურყეველ მშვიდობიან ცხოვრებას და უზრუნველყოფენ ყველა მეომარ სახელმწიფოს ხალხის თავისუფალ განვითარება-შემოქმედებას.

— „ფოროვერსტი“ აცხადებს: „სამწუხაროდ ჩვენს მოწინააღმდეგე სახელმწიფოებში ფიქრობენ, თითქოს გერმანიიღწოდეს დაპყრობა-დამონება—მტაცებლობისთვის, რაც სრული სიყალბეა... დაე რუსეთში ყველამ გაიგოს, რომ გერმანიაში ყველაზე ძლიერი პარტია (სოც. დემ.) უარყოფს ყოველგვარ ანექსიას, კონტრიბუციას და მოითხოვს საერთო საკაცობრიო უფლებებზე აშენებულ ზავს“.

— **ზავის გარშემო.** პარიზიდან იუწყებინ: „ავსტრიის მთავრობამ ხელახლა მიმართა რუსეთის დროებითს მთავრობას საზავო მოლაპარაკების დასაწყებად. ამ ბოლო დროს თურმე ავსტრია გამხნევებულა იმით, რომ რუსეთში მემარცხენე მიმდინარეობა ზავის ჩამოგდებას ცდილობს. ავსტრიამ რუსეთს მეტად დამამცირებელი საზავო პირობები წარმოუდგინა. საფრანგეთის რესპუბლიკა დარწმუნებულია, რომ ეს საზავო წინადადება უარყოფილი იქნება ისე, როგორც წინანდელი მთავრობის მიერ“.

ახალი ამბავი

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტის საქართველოს ეკლესიის დროებითმა მართველობამ თავის ფილიალიურ განყოფილებად იცნო, რის შესახებაც შესაფერი სიგელი გამოიყვანა. ქუთაითურმა ფილიალურმა განყოფილებამ გუშინწინ, 13 აპრილს, თავის სხდომაზე დაადგინა თავის საკუთარი ყოველდღიური ორგანო დაარსონ. ამ საქმისათვის სარედაქციო კომისია ამორჩია. კომისიაში შედიან: ია ეკალაძე, ვიკენტ ბერიძე, მღვდელ მონაზონი ონოფრე, მღვდლები: სპირიდონ ლეკვეიშვილი, რაჟდენ ხუნდაძე, მიხეილ ბუაჩიძე და მედიათონე ევკენი ჯორბალაშვილი. რედაქტორად ერთხმად ია ეკალაძე იქნა დასახელებული.

✦ **აღმ. კომიტეტმა** მოისმინა განცხადება საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარის და დაადგინა:

1) გამოუცხადოს ნდომა საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს.

2) გაანალიროს სასურსათო კომ. შემადგენლობა ვაჭრების წარმომადგენლითა.

3) სასურველად მიიჩნიოს ყველა საჯაჭრო საჭირო საქონლის აღწერა.

4) ნება დართოს ქუთ. გუბერნიაში საქონლის ვატანისა, რაიც უნდა გადაეცეს სასურსათო კომიტეტს განსახილველად.

✦ **უბედური შემთხვევა.** როგორც გვატყობინებენ, სოფ. ნოღაში (ქუთ. მაზრა), ეკლესია ჩამოიწვა.

✦ 7 აპრილს „პეტროგრადის უწყებებში“ მოთავსებულია ბ. ამბერის წერილი შემდეგი სათაურით: „სალამი ქართველ ავტოკეფალურ ეკლესიას“. წერილი დიდათ საყურადღებოა, ვინაიდან იგი ბევრ რასმეს ეუბნება, როგორც ერთ ნაწილს ქართველ საზოგადოებისას, ისე გაზეთ „კავკაზსკოე სლოვოში“ მოკალათებულ სომხის პლუტოკრატებს.

✦ **გიორგი** რეგისტრატორებათ ჩაწერა. ჩაწერა შეიძლება სასურსათო განყოფილებაში (თვითმართველობაში) 6—8 საათამდი. მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ყველას განურჩევლად სქესისა.

✦ როგორც ვიცით, ქალაქიდან საჭირო სანოვაგის გაზიდვა სასტიკად აკრძალულია. მიუხედავათ ამისა სანოვაგის გაზიდვას მაინც არ ეშვებიან. ქალაქიდან გასავალ გზებზე ამ დღეებში ბევრი სანოვაგე დაიპირეს. დაჭერილი საქონელი სასურსათო განყოფილებაში ინახება.

შეცდომის გასწორება

გუშინწინდელ ნომერში (ქართული ტიპიკონი) შემდეგი ტიპოგრაფიული შეცდომანია შეპარებული:

მე III პარაგრაფში სწერია: „ბერძნების იმპერატორს მონობას“ უნდა იყოს: „ბერძნების იმპერატორს კონსტანტინე მონომახს„.

მე-11 შენიშვნაში მთელი ფრაზაა გამოტოვილი, ესრეთ უნდა იყოს. „საფრანგეთის ელჩს 3000 ოქროთ დაუჯდა მისი განთავისუფლება, თათრებმა მაინც ნება არ მისცეს გზის გაგრძობისა...“ გ. 4. სეტის სტრიქონი 8 ესრეთ უნდა იკითხებოდეს: მესხები „ჯერ ისპანის ლათინ ეპისკოპოზს ემორჩილებოდენ (1633-1742), მერმე კონსტანტინეპოლისას (1746-1845).. „

მე-14 შენიშვნა მთლათ გამოტოვილია: „ამ ჟამად ეკლესიები დაუკეტიათ, ბოვშებს აღარავინ ანათვლინებს“

„გლეხთა რუსეთი“.

გაზ. „უტრო როს.“-ში მოთავსებულია წერილი სათაურით

„Крестьянская Россія“, რომელიც მოგვყავს უცვლელად.

„რუსეთის მცხოვრებთა სამ მეოთხედზე მეტი მიწადმომქმედია, სასოფლო მეურნეობით ცხოვრობს. ევროპის რუსეთში ათას მცხოვრებზე 841 გლეხი მოდის. არის გუბერნიები, სადაც გლეხობა კიდევ მეტია, მაგ. ვიატკას გუბ. ათას მცხოვრებზე 972 გლეხია, ვოლოგდისა, ვორონეჟისა, ყაზანისა, კურსკისა, პენზისა, პერმისა, სიბირსკისა, ტამბოვისა და უფის გუბერნიებში 953 გლეხია 1000 მცხოვრებში. აი, ეს მრავალი გლეხობა უფლება-მოსილი ხდება, იგი აირჩევს მომავალ დამფუძნებელ კრებას, შეიმუშავებს სახელმწიფოს წყობილების ახალ სახეს, გადაწყვეტს აგრალურ კითხვას, და მოაგვარებს იხე, როგორც ეს მიწისთვის არის საჭირო. დამფუძნებელი კრების დეპუტატების არჩევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა გლეხთა ხმას ეკუთვნება.

თეული მილიონერ გლეხთა ხმები დაჩრდილავენ ქალაქის მცხოვრებთა, თავად-აზნაურთა, სასულიერო პირთა და მუშათა წარმომადგენელთა ხმებს. დღეს რუსეთის სოფლებს მართებთ დიდი ორგანიზაციული მუშაობა და მზადება დამფუძნებელ კრებისთვის, როგორც ამას სჩადიან რუსეთის სხვა კლასები, თუ წოდებები. უკვე გაისმა ხმა მოწოდებისა, რომელიც მოუხმობს გლეხობას შექმნას სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი, რომელიც გამოარკვევს იმ კითხვას, თუ რა უნდა იქნეს დამფუძნებელ კრებაზე გლეხობის მოთხოვნის ქვაკუთხედათ.

ჩვენ აგრეთვე საჭიროდ მიგვაჩნია სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობის მოწვევა. ამ ყრილობას უნდა გადაეცეს წინასწარ განსახილველად ის მწვავე კითხვა, რომელიც მუდამ წინ უდგია რუსეთის სოფლებს. ეს არის მიწის საკვე. გლეხთა ყრილობა ვალდებულია თავის სამოლოო აზრი, განწყობილება გამოსთქვას ამ კითხვის შესახებ, რომლის სრული გადაწყვეტაც დამფუძნებელ კრების უფლებაში შევა. რაც უფრო გულდასმით და ყოველ მხრივ განიხილავს ყრილობა ამ დიად მნიშვნელობის კითხვას მით მეტი გარანტია მოგვეცემა, რომ იგი სამართლიანად და მტკიცედ მოგვარდება.

ვითვალისწინებთ რა იმას, რომ მომავალი დამფუძნებელი კრების შემადგენლობის დიდი უმრავლესობა გლეხობა იქნება. მივესალმებით გლეხთა ყრილობას, როგორც მოსაზადებელ სფეროს მომავალი დამფუძნებელ კრებისათვის.

შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ის არჩეული პირები, რომლებიც ყრილობაში მიიღებენ მონაწილეობას, მოხდებიან დამფუძნებელ კრებაში. ყოველ შემთხვევაში სოფელი თავის რწმენებულებას ისეთ პირს მიანდობს, რომელიც მისი სათანადო და გულშემატკივარია: ყრილობას კიდევ ის მნიშვნელობაც აქვს, რომ აქ გლეხთა წარმომადგენლები, რომელთაც დამფუძნებელ კრებაში მეტად პასუხ-საგებ მისია დაევალებათ, წინასწარ მოიხადეს შეიძენენ ყრილობაზე მოიხდარ დებატებით.

წარვიდა ის დრო, როდესაც რუსეთის სოფელს შეჰყურებდენ როგორიც ყოველ მხრით საწყენ კერძს. ბიუროკრატია ყოველგვარად სცდილობდა სოფლის მოძრაობის ჩაქრობას და თვითმპყრობელობის მონობის განმტკიცების. დღეს 120 მილიონი რუსეთის გლეხობა ძმიმე ულელისგან განთავისუფლდა, მას საშველება ეძლევა მონაწილეობდეს რუსეთის სვეტდაჭ ტრიალში.

გლეხობა რუსეთს არ გასცემს, ის არავის დაანებებს რევოლიუციის მოპობულ თავისუფლების გათელვას.

ჩ ვ ე ნ ი გ ა ზ ე თ ი

წლის დამლევამდე ღირს 12 მან.

გადახდა შეიძლება ნაწილნაწილად.

ქართველთა შორის წერა-კითხ. გამგრცელ. საზოგ.

სენაკის განყოფილების გამგეობა

ამით აცნობებს განყოფილების წევრთ, რომ განყოფილების წევრთა

წლიური კრება დანიშნულია კვირას 16 აპრილს

დილით 10 საათზე, ძმათა სანიკიძეების თეატრის შენობაში. გამგეობა სთხოვს განყოფილების წევრთ დაესწრონ კრებას.

თუ ეს პირველი კრება არ შესდგა წევრთა სავალდებულო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, მაშინ მეორე კრება ინიშნება 23 აპრილს და ის შემდგარად ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს.

გამგეობის თავმჯდომარე: ოლ. ხოფერია.

განცხადება.

პედაგოგიური საბჭო ქუთ. **რეალურ სასწავლებლისა** აცხადებს, რომ

მოწვევების

მისაღები გამოცდები სხვადასხვა კლასის კურსის ცოდნაში დაიწყება პარასკევს, 14 მიმდინარე აპრილისა, **ხოლო სასწავლებელში შესავალი გამოცდები დაიწყება მარიამობისთვეში.** 3—3

რუსეთის რევოლიუცია.

პროვოკაცია. პეტროგრადში გაუგრცელებიათ უცნაური ხასიათის პროკლამაციები, რომლებშიაც ჯარს მოუწოდებენ მუშების წინააღმდეგ სამოქმედოთ. პროკლამაციების ხელს აწერენ ვითომდა მუშათა და სალდათთა დეპ. საბჭოს წევრები. ამ ფურცლებს დიდი აღშფოთება გამოუწვევია მცხოვრებლებში და უთხოვიათ მუშათა და სალდათთა საბჭოსთვის, რომ დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ამის წინააღმდეგ.

დასავ. ევროპის სოციალისტები და რუსეთის რევოლიუცია.

სოციალ-დემოკრატია ცნობილ ბელადს პლეხანოვს საზღვარ გარეთიდან ჩამოჰყენენ საფრანგეთისა და ინგლისის სოციალისტები. ესენი კერენსკისთან ყოფილან საუბრეზე. აქ მათ განუცხადებიათ, რომ ისინი ყოველ საშუალებას მოიხმარენ რუსეთის რევოლიუციის სასიკეთოდ დასაგვარგვნებლად.

უკანასკნელი ამბები.

შედგებთა 40 წლის ჯარისკაცებს.

სამხედრო მინისტრმა გუჩკოვმა სასოფლო მეურნეობის საქმის უზრუნველყოფად საჭიროდ დაინახა ამ ზაფხულს სახლში სამუშაოდ დაითხოვოს ის ჯარის კაცები, რომელნიც 40 წლის არიან.

დეზერტირების პასუხისმგებლობა.

ახალი მთავრობის სამხედრო კომისიამ მოწოდება გამოსცა, რომლის ძალითაც ის ჯარისკაცნი, რომელნიც ძველ რეჟიმის დროს თავის ნაწილებიდან თავის ნებით წამოვიდენ, ყოველგვარი დანაშაული ეპატიებათ, თუ კი იგნი 15 მაისამდე ჯარში **და ბრუნდებიან.** ამ ვადის შემდეგ კი იგნი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით აგრეთვე სასჯელი ეპატიებათ იმათ ვინც სამხედრო ბეჭარას გაურბოდა და 15 მაისამდე გამოცხადდება სამხედრო უფროსთან.

ქართველი ებრაელნი და საქართველოს ავტონომია.

(ცნობა ონიდან)

14 მარტს ონის (რაჭაში) ებრაელების რაბინ დავით ბაზოვის მეთაურობით მოხდა დ. ონში ადგილობრივ შეგნებულ ახალგაზდა ებრაელთა კრება ბ. ა. ჩაბაშვილის თავმჯდომარეობით. რაბინმა ბაზოვმა დაუსურათა კრებას ძველი რეჟიმის უსამართლობა ებრაელებისადმი და მოუთითა მეორ დამოკიდებულებაზე, რომელიც სუფევს საქართველოში ქართველებსა და ებრაელებს შუა. კრებამ მოითხოვა აუცილებლად საქართველოსთვის სრული ავტონომია, სადაც ებრაელთ ეკუთვნებათ სრული შეება და თანასწორ. კრებამ ერთხმად დაადგინა ქართველ ებ. პეტროგრადში ებრაელების დეპუტატებს, რომელებსაც დიდი დადგენილება ექვთ კადეტთა პარტიაში „მედგრად დაუცავენ მხარი საერთოთ [illegible] ... ეროს ჩვენში ძმობა და ამხანაგობა!“ დეპეშა იმ დღესვე იქმნა გაგზავნილი.

(საქ.)

ქართველ სახელმძღვანელო წიგნების ავტორთა და გამომცემელთა საყურადღებოდ

დასავლეთ საქართველოს ქართველ მასწავლებელთა საერთო კავშირის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს პატივცემულ ავტორთა და გამომცემელთ, მოკლე დროში მოაწოდონ გამგეობას თითო ცალი თავ თავიანთი გამოცემისა, ავრეთვე აცნობონ, თუ ვისმეს აქვს დამზადებული ახალი მასალა რომელიმე ქართული სახელმძღვანელო წიგნის გამოსაცემად. საჭირო არის სახელმძღვანელო წიგნები, როგორც საშუალო, ისე დაბალ სკოლებში სახმარებელი.

მისამართი: ქუთაისი, კომერციული სასწავლებელი, ძ. ი. თაქთაქიშვილს. პატივისცემით კავშირის გამგეობა.

„სახ. ფურც“ გ.

ეროვნული კითხვა.

უ კ რ ა ი ნ ა

კიევი. 10 აპრილს კიევის სოციალისტ-რევოლიუციონერების კრება დასრულდა. კრებამ საჭიროდ სცნო რომ უკრაინის ავტონომია ეხლავე განხორციელდეს. უკრაინის ავტონომიის ძირითად დებულებები შესაბუშავებლად უკრაინის რადამ უნდა მოიწვიოს სრულიად უკრაინელთა ტერიტორიალური კრება, რომელმაც ახალ მთავრობასთან დამოკიდებულება უნდა განიხილოს. სოც რევოლიუციონერთა კრებამ გადასწყვიტა, სრულიად უკრაინის ტერიტორიალურ კრებას მხარი დაუჭიროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კრება მშრომელ ხალხის ინტერესებს მედგრად დაიცავს. დასასრულ, კრებამ დაადგინა. ომი მოგვრიებითი იყოს იმ დროამდის ვიდრე ცენტრალი სახელმწიფოები ანექსიაზე ხელს არ აიღებენ. კრების აზრით, სამშვიდობო კონფერენციაზე მოწვეულ უნდა იქმნენ არა მპყრობელ ერთა წარმომადგენელნიც.

უკრაინელთა კონგრესზე ამორჩეულია ცენტრალური რადა (ყრილობა). თავმჯდომარედ ამორჩეულია პროფ. გრუშევსკი, ამხანაგებად —დრამატურგი ვინიჩენკო და პუბლიცისტი ეფრემოვი. „ახალი რადა“ გადმოგვცემს, უკრაინელთა მიერ წამოყენებულ ოთხ პუნქტს: უკრაინის ავტონომია, რუსეთის მოწყობა ფედერატიული საფუძველზე, ფედერატიული დემოკრატიული რესპუბლიკა და ეროვნებათა უფლების უზრუნველყოფა.

უკრაინული გაზეთის სიტყვით ეს პუნქტები ხალხმა მალე უნდა განაგრძიოს ელოს. სხდომა ავალებს ყრილობას, რაც შეიძლება შეურწყოს ხელი სხვა ეროვნებათ, რომელნიც უკრაინელებსავით მოითხოვენ ნაციონალ-ტერიტორიალურ ავტონომიას ფედერატიულ-დემოკრატიულ რეს,უბლიკის საფუძველზე.

სომეხთა პარტიები.

„დაშნაკცუტუნთა“ პარტიის კრება 11 აპრილს დასრულდა. კრება გაგრძელდა 5 დღეს. დაესწრო ორმოცეზე მეტი დელეგატი და სხვადასხვა პარტიათა თვალსაჩინო წარმომადგენელნი. გამოტანილი რეზოლიუციები ამ დღეებში გამოქვეყნდება. კრებაზე გამოირკვა, რომ ომიანობის დროს პარტია ოსმალეთის სომხეთის საქმეებს მოუნდა და კავკასია კი უყურადღებოდ დასტოვა. მაგრამ რევოლიუ-

ციის პირველ დღიდანვე პარტიული მოღვაწენი მზნედ შეუდგნენ პარტიების ამოქმედებას და საქმე დღეს სასურველ კალაპოტში ჩადგა.*

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲫᲘᲝ ᲡᲐᲛᲪᲕᲓᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ.

აპრილის 13 რიცხვში დაიწყო იმერეთის საპარძიო სამღვდელოების კრება ქ. ქუთაისში. დილის 11 საათზე სამღვდელოება თავს იყრის სასულიერო სასწავლებლის დიდ დარბაზში. რწმუნებულთა შემოწმების შემდეგ, კრება თავმჯდომარეთ ირჩევს დეკანოზ ი. მარგიანს, მის ამხანაგათ მღ. გ. ბარათაშვილს, საქმის მწარმოებლებათ კი მღ. ი. წერეთელს და მედავითნე პ. კიხწურაშვილს. არჩეული პირები იჭერენ თავიანთ ადგილს. პირველ საკითხათ ისმება: მიეცეს თუ არა გადამწყვეტი ხმის უფლება რწმუნებულების გარეშე დამსწრე სამღვდელოთა და საეკლესიო მსახურთ პირებს? რაიცა იწვევს მეტად ცხარე კამათს. ამ დროს 12 საათი სრულდება, და კრების დარბაზი ახლათ შემომატებულთა პირთაგანს ივსება, რომ დარბაზში ტევა აღარ არის. ამ ღროს დარბაზში შემოდიან საპარძიო დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის მწევრები: არქიმანდრიტი ნესტორი, მღვდლნი სპ. ლეკვეიშვილი, ამრ. ფოფხაძე, გ. ბუაჩიძე, ზ. ნემსიწვერიძე ს. შუბლაძე, დ. ჩხაიძე და სხვანი... ყველა ესენი მოითხოვენ, რომ, ვინაიდან ეს კრება არის მოწვეული აღმასრულებელი კომიტეტისაგან, გადამწყვეტი ხმის უფლება მიეცეს მხოლოდ საბღალოჩინო ოლქების მიერ არჩეულ პირებს, და ისიც მხოლოდ თითო ოლქიდან თითო პირს და არა ორ-ორს (სამი ოლქიდან ორ-ორი აერჩიათ—თითო მღვდელი და თითო მედავითნე). კრების უმეტესობა მოითხოვს, რომ ყველას მიეცეს გადამწყვეტი ხმის უფლება. არამც თუ არჩეულ რწმუნებულებს და დამსწრე საეკლესიო პირებს, არამედ ვემთხვეოთ დამსწრე საერო პირებსაც კი, რასაც დამსწრე საზოგადოება ტაშის კვრით ეგებება.

ამ დროს გამოდიან ზოგიერთი პირები და მოითხოვენ, რომ დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის წევრები არა კანონიერათ იქმნნ აღიარებულნი და მოხდეს ხელახალი არჩევნების, მაგრამ კრების უმეტესი ნაწილი აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს ნდობას უცხადებენ. ამის შემდეგ ამორჩეული პრეზიდიუმი თავისს ადგილს სტოვებს, ხოლო მის ადგილს იკავებენ კომიტეტის თავმჯდომარე არქიმანდრიტი ნესტორი და წევრნი მღ. სპ. ლეკვეიშვილი და ამ. ფოფხაძე. მღ. ვლადიმერ მაკარიშვილი სთხოვს კრებას, რომ გაითვალისწინოს დიდი მომენტის მნიშვნელობა, პასუხის მგებლობა საქმობლისა და ერის წინაშე, უკუაგდონ ყოველი პირადული ინტერესები და ყოველ მხრივ შეთანხმებული მოქმედებით ხელი შეუწყონ საქმობლო ქვეყნის ათასნაირ საქმეების მოწესრიგებას.

საეპარქიო კომიტეტის თავმჯდომარე არქიმანდრიტი ნესტორი ამცნებს კრებას, თუ კომიტეტის დადგენილებისა მებრ, რაზედ უნდა იმსჯელოს კრებამ და მოიწევდეს კრებას სოლიდარულ თანამშრომლობისა�.

ეს საკითხები არიან:

1) მოხსენება აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედებისა 2) სასულიერო ორგანოს დაარსება, 3) ქართული საეკლესიო გალობის კურსების მოწყობა, 4) აღმასრულებელი კომიტეტის ხარჯები, 5) დაფხოვნა და მიღება მოსამსახურე პირთა 6) 89 ათასი მანეთის განაწილება და სხვანი.

მღვდ. ვლადიმერ მაკარაშვილი მორიგ საკითხათ აყენებს, თუ როგორ უნდა აღნიშნოს ქართულმა ეკლესიამ რუსის მთავრობის მიერ ურჯულოთა მსგავსად წამებულნი ქართველნი მღვდელ-მთავარენი: მიტროპოლიტები ქუთათელი და გენათელი და საქართველოს ქთალიკოსი ანტონ 2. ეს საკითხი ერთხმათ იქნა მიღებული. ამის შემდეგ მღვდელი ლეკვეიშვილი კითხულობს აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედებას დღიდან არჩევისა ე. ი. 7 მარტიდან 12 აპრილამდე. ამის შესახებ კითხულობს თავმჯის ყველა ოქმებსა და აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებებს; ვრცლათ აცნობს დამსწრე საზოგადოებას მცხეთაში 12 მარტს მომხდარ აქტსა საქართველოს ქთალიკოსის მოსაყვრის არჩევისა და მისი თავმჯდომარეობით სრულიად საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის აღმასრულებელი კომიტეტის არჩევის ამბავს კრება ზედ დგომბეულებას ახდენს ეკლესიარხოსის პლატონის ვერაგული მოქმედება და რუსის მხედრობის ქართველთა წინააღმდეგ ამხეიერება და მრავალი სხვა. (და განა შავრაზმელთა ხელის შეშფოთებისაგან ამას არ უნდა მოველოდეთ? მიტროპოლიტი ვლადიმერი და ეკლესიარხოსი პლატონი ორივენი კიევის შავი რაზმის აგენტები აღმოჩენილან

კრებაზეედ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს აგრეთვე სრულიად რუსეთის დროებითი მთავრობის შორის ერთმანეთ შორის შეუთანხმებლობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. კრებამ დიდი მადლობით მოიმინა ამ დიდ საკითხის მხარის დაკვრა უწმინდესი სინოდის ობერპროკურორისა ნამეტარ მისი თანაშემწის დიდი თანაგრძნობა ქართული ეკლესიისადმი ამის შემდეგ მღ. სპ. ლეკვეიშვილი კითხულობს იმერეთის საპარძიო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილ წესდებას, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს დროებითი მართვა-გამგეობა სამრევლოებისა, სამღვდოჩინო სოლოკოებისა და საეპარქიოსა, კრებას ემენო აგრეთვე, რომ დღეიდან არქიელის სასახლეში იცხოვრებს კომიტეტის თავმჯდომარე არქიმანდრიტი ნესტორი, იქვე დღეიდან მოხდება კომიტეტის წევრთა სხდომები და ყველა საქმის ქალალდებიც მას უნდა წარუდგენოთ. ამ კრებას დაესწრო გურია-სამეგრელოს ეპარქიის ორი წარმომადგენელი, მღვდელი ინნაინეშვილი და კალანდარიშვილი. მღვდ. ინნაინეშვილი აღფრთოვანებული სიტყვით ეგებება იმერეთის სამღვდელოებას და იძლევა წინადადებას. რომ ამ დიდ მოვენტის დროს იმერეთისა და გურია სამეგრელოს ეპარქიებმა ხელიხელ ჩაკიდებულ კმა იმოქმედონ, რასაც კრება მხურვალე ტაშისცემით მიეგება.

(ოოტა ხნის შესვენების შემდეგ, კრება კვლავ იხსნება. კამათი იმართება საკუთარი სასულიერო ორგანოს დაარსების შესახებ. ფრიად შინაარსიან სიტყვას ამბობს მწერალი ია ეკალაძე (აწ უკვე ქუთ. სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებელი), რომელიც დღეს სიხარულს გამოსთქვამს ქართველერში და მის სამღვდელოებაში ასი წლის მონობის შერჩენის გამო აუკილებელ საჭიროებათ მიაჩნია საკუთარი ორგანოს დაარსება, რისთვისაც ის მზათაა, როგორც მღვდლის შვილი თავისი ძალღონე შესწიროს მის ყოველმხრივ შინაარსიანობას და აქვე ადგენს ამ ორგანოს ხარჯთაღრიცხვის ანგარიშსაც. ორატორს ხანგრძლივი ტაშისცემით აჯილდოებდა დამსწრე საზოგადოება. მღვდ. მიხ. ბუაჩიძე ამბობს საჭიროა შეეკითხოთ დანარჩენ ქართველ ეპარქიებსაც, ვინაიდგან ამ ორგანოს გამოცემა დიდს ხარჯს მოითხოვს და ჩვენ მარტო მეტად გაგვიჭირდებაო. ამ აზრს არ ეთანხმება მღვდ. ს. მეკედლიძე, რომელიც თვის სიტყვაში ატარებს იმ აზრს, რომ სასურველია თვითო ეპარქიამ ცალ-ცალკე არამც თუ თითო, არამედ ორ-ორი საკუთარი ორგანო გამოსცეს, რაიკა აზრთა შეხლა შეეხოლას გამოიწვევს და ამით საქმე უფრო სასურველათ გაუქცდებაო ამავე საგანზე ლაპარაკობდენ მღვდ. დომენტი ჩხაიძე და ს. ჭელიძე რომელთა სიტყვებიც ხანგრძლივი ტაშისცემით იქმნენ დაჯილდოვებულნი. გურიის სამღვდელოების წარმომადგენელი მღ. იმნაიშვილი იმედს გამოსთქვამს, რომ 500-600 ცალი ამ ორგანოსა უსათუოდ გამოწერილ იქმნება გურია-სამეგრელოს სამღვდელოების მიერ. კამათი იმართება, თუ ვისი ფულით გამოიცეს ეს ორგანო: სამღვდელოების საკუთარი ხარჯისა, თუ საეკლესიო ფულებით. ორატორთა უმეტესი ნაწილი მოითხოვს, რომ ორგანო გამოეცემულ იქმნას სამღვდელოების საკუთარი ხარჯით. საეპარქიო კანცელარიის მდივანი მ. ერასტი თუთბერიძე ამცნობს კრებას, რომ 3000 მანეთამდის ფული, რომელიც იგზავნებოდა საეკლესიო უწყებისა და საქართველოს მახარობლის გამოსაწერათ, ისევე გაუგზავნელია, და სამღვდელოებას შეუძლია ეს ფული ახლავე მოახმაროს საკუთარ ორგანოსო, რისთვისაც სამღვდელოება დიდ მადლობას უცხადებს.

ამის შემდეგ არჩეული იქმნა სარედაქციო კომისია ბატ. ია ეკალაძის თავმჯდომარეობით შემდეგარი 7 წევრისაგან კრება იხურება მეორე დღის 8 საათამდის.

მღვდ. ვლადიმერ მაკარაშვილი.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ.

(ერთი საათის გამო.)

როდესაც ჩვენ ვარჩევდით საკითხს: „სამეცდინო ბეგარა და მასწავლებლები", სახეში უნდა გვქონოდა ყველას ის უკანონო და მოუფიქრებელი საქციელი ძველი რეტმისა, რომელიც სახალხო მასწავლებლებს ეხებოდა და რომელსაც მომავლინებელად იმოქმედა არა მარტო კერძო პიროვნებაზე, არამედ ეთელ საზოგადოება სახელმწიფოზე—შკოლის სახით.

ეს უკიცა, უთანავრძნობა საქციელი ძველმა რეტმმაც დაჰგმო თავდაპირველად და მასწავლებელთ თავისუფლება მისცა და თავის საყვარელ საქმეს დაუბრუნა. მასწავლებელთა ჯარში გაწვევა მეორედ ყველას მოეხსენება, თუ რა პოლიტიკური მოსაზრებით იყო გამოწყვეული და ამიტომ მასწავლებელთა ყრილობაზე საკითხი ჯარისაკა-მასწავლებელთა შესახებ არ უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი ისე, როგორც გადაწყდა.

წარსულში თუ ყოველი ადამიანი გაიძახდა მასწავლებელთადმი თანაგრძნობას და მათს ჯარში გაწვევას დანაკლისად აღიარებდა იმ დროს, როდესაც მათს ამოძახილს არავითარ ანგარიში არ უწევდნენ. დღეს, როდესაც თავისუფალად შეიძლება გრძნობის დასურვილების გამოთქმა, როდესაც შეიძლება მათს სურვილებს და თხოვნას ანგარიში გაუწიონ, ზოგიერთი მასწავლებელი უარყოფს მათი დაბრუნების საჭიროებას ვითომდა სხვა და სხვა პატივსადები მოსაზრებებით.

ყველას მოეხსენება, რომ რევოლიუციური ჯარი დღეს მზადაა საბოლოოდ დასაბამარის ძველი დახავსებული წესწყობილება, ხელმძღვანელნი ჯარში საკმაოდ მოიპოვება.

შკოლა და ხალხი კი, ესეც ყველამ უწყის, უპატრონოდაა მიტოვებული და, თუ აქა-იქ მოიპოვება ვინმე, მას არ ძალუძს ყველგან და ყოველთვის შესაფერისი შეგნება, განმარტებაშეიტანოს მიმდინარე ცხოვრებაში.

დიახ, იმას მოგახსენებდით ზეკით, რომ მასწავლებლებს, ჩემი ღრმა რწმენით, იმდენი გულმტკივნეულობა მაინც უნდა გამოგვეჩინა, რომ ერთხმათ აგვეღიარებინა საჭიროება ჩვენი კოლეგების თავიანთს საქმეზე დაბრუნებისა და გვეთხოვა მათი განთავისუფლება. თუ ეს რიმე საშიშრათა გამოიწვევდა ჯარში, ე. ი. დეზორგანიზაციას, ეს ჩვენზე უფრო ჯართან ახლოს მდგომს ეცოდინებოდა და ჩვენს შუამდგომლობაზე უარს გვეტყოდა.

რომ სადაც დიადი რევოლიუციისა მასწავლებელ ჯარის კაცთა ხელში იყოს, დამერწმუნებით, რომ მასწავლებელი-ჯარის კაცები ასე ერთხმად არ მოითხოვდნენ შკოლაში დაბრუნებასა.

მ. სვირელი.

ᲙᲝᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲐᲭᲘᲐᲜᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲞᲝᲞᲝᲕᲘᲡᲗᲐ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲗᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘ.

რევოლიუციის დაწყების წინ პოლიციის დეპარტამენტში იწყო დენა ისეთმა ცნობებმა, რომლებიც არაკეთდენ „ᲛᲐᲠ ᲙᲐᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲛᲠᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ" საერთო ხასიათი ამ სულიერ განწყობილებისა ასეთია: 1917 წლის დასაწყისში სულიერი განწყობილება ამიერ კავკასიის მაჰმადიანთა ბაქოსა და დაღესტნის ნაწილებისა ფრთხილი და გამოფურკვეული იყო ამიერ კავკასიის მაჰმადიანები თანხმა იყვნენ, სამშაოდ წამოსულიყვნენ ჯარის ზეზეს უკან, თუ კი ამით ჯარში არ გაიწვევდენ; ხოლო კავკასიის ჩრდილო ნაწილის მაჰმადიანები შავ მუშაობას გაუბრიდენ და ჯარში წასვლას უჩარატესობას აძლევდენ. კერძოთ, დაღესტანზე უნდა ითქვას—სწორდა ერთი მაძებარი ნაწილის უფროსი—შემდეგი: ყველი მოხელე დაბალი თუ მაღალი, უზომო მექერთამეობას მისდევდა.

ყველაზე უფრო თვალსაჩინო ხელმძღვანელებათ მაჰმადიანთა მოძრაობისა დაღესტანში ითვლება: ნაიბედენ—ეფენდი (წადინელი), თაჯადინ—ეფენდი სოფელ კარაბუდახკენთიდან, და მოლა ალლა-ლაუ აუძუნიდან. მაჰმადიანთა მიზანს შეადგენს: 1) სწავლა ხდებოდეს სამშობლო ენაზე. 2) გახსნან ეროვნული შკოლები 3) სავაკუფო (ე. ი. ის თანხები სხვა და სხვა ანდერძებიდან) თანხები ჩამორთვეს შინაურ საქმეთა მინისტრს და ვადაეცეს ადგილობრივ ბეიტ-ულ-ილამებს და მუფთებს. 4) ყველა სასულიერო მოლები, ყადიები, მუფთები და ბეიტ-ულ-ილამები თავიანთ თანამდებობაზე ინარჩუნებიან ეროვნების შემწეობით. არაყეანენ მონაწილეობას იღებდენ ადგილობრივი საზოგადოება. 5) ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უნდა მიიღონ რამდენიმე ადგილი როგორც საეროსამწყოფო სათათბიროში ისე სახელმწიფო საბჭოში. 6) უფლება მიეცეს ყველა რუსეთის ქვეშმრდომ მაჰმადიანს შეიძინოს უძრავი ქონება თურქესტანში. 7) 1916 წელს ამბოხებისივის ბრალდებულ თურქმენებს დაუბრუნდეთ ის ძოწები, რომლებიც მათ ჩამოართვეს ჩამოსახლებულ რუსთა სასარგებლოდ. 8) ნება მოგვეცეს სალოცავთა წასვლის ფართეუფლება, ვინაიდან ყურანი ამბობს: „ინნემელ მუგმინუნე იხ უეე თუნ"—„ᲞᲔᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ—ᲛᲘᲫᲘᲡᲐ".

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ.

20 აპრილს 1917 წელს პეტროგრადში მოხდება სოციალ-დემოკრატების კონფერენცია, რომელსაც პარტიის ცენტრალი კომიტეტი იწვევს.

კონფერენციამ უნდა განიხილოს: 1) ანგარიში ადგილებიდგან, 2) ცენტრალ კომიტეტის მოხსენება, 3) დროებითი მთავრობის შეკვსება, 4) ომი, 5) დამფუძნებელი კრება, 6) მეწმენოკებთან გაერთიანება, 7) აგრარული კითხვა, 8) მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოები და სხვა უპარტიო რევოლიუციური დემოკრატიულ ორგანიზაციები, 9) პროფესიული კავშირები, კოოპერატივები, კლუბები და სხვ. 10) დაზღვევის კითხვა, 11) მუნიციპალური კითხვა, 12) ინტერნაციონალი, 13) მტაცებლობის უფლება მუშებისა და გლეხების მოძრაობაში, 14) ეროვნული კითხვა, 15) საორგანიზაციო კითხვები, 16) არჩევნები ცენტრალ კომიტეტისა და ცენტრალ ორგანოსოვის.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.

პეტროგრადში იხსნება ახალი შკოლა ასეთი სახელწოდებით „მუშათა და ჯარის კაცთა დასვენება." ეს იქნება პროტოტიპი სახალხო უნივერსიტეტებისა.

— სად. ვარიცასე დაკავეულ იოანე ჩერიკოვი. როგორც ხმები დადის, მას დამოკიდებულება ქონია რასპუტინთან და ღალატობდა ახალ მთავრობას.

— ყოფილმა დიდმა მთავარმა ელიზავეტა მავრიკის ასულმა კითხვა აღძრა ის უძრავ მამულის გაყიდვის გამო, რომელიც ეკუთვნოდა მის უსაკრის შვილებს. ეს უკანასკნელნი არავითარ წოდებას არ ეკუთვნიან. ელიან ახალ ანდერძს წესისა, რომლის მიხედვით ენდა შვილებს ყოფილი საიმპერატორო ოჯახის ბერ ლების ქონების გაყიდვა.

„რაბოჩაია გაზეთა," ეკამათება რაღლენინს მიუთითებს, რომ იგი ხელს უწყობს [illegible] — [illegible] წარმომადგენელი მოელი ოსეთის ხალ[illegible] — პროგრესიულ [illegible] — [illegible] — პროგრესიულს, რომელშიაც შედიან წარმომადგენელები მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებისა, სურს აღძრას საკითხი იმის შესახებ, მოითხოვონ თუ არა ბერეში სამხედრო ბეგრის მოსახდელათ.

— **ᲞᲣᲓᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲫᲘᲜᲐᲕᲗ.** პეტროგრადში, ნიკოლაევის სადგურზე ჯარის კაცთა საჩაიეს პავილიონში ორმა უცნობმა ხალხს მიმართა რეაქციონერის სიტყვით, რომელშიაც ახალი მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებას ურჩევდა. ატყდა სროლა. ორი ჯარის კაცი მოკლულია, ორი მძიმეთ დაჭრილია. დაჭეავებულია 35 კაცი.

რედაქტორ გამომცემელი
დ. ბ. ᲙᲕᲘᲠᲙᲔᲚᲘᲐ.

ᲠᲩᲘᲜᲘᲡᲒᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

(დრო ადგილობრივი ნაჩვენები).
ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 8 ს.	წ.
„	— საღამ.	— 8 ს. 50	„
ბათომიდან	— დღისით	— 12 ს. 40	„
„	— ღამის	— 1 ს.	„
ფოთიდან	— დილის	— 10 ს. 26	„
ტყიბულიდან	— საღამოს	— 6 ს. 50	„
ხაშურიდან	— დილის	— 9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	11 ს.	— „
„	— ღამის	—11 ს. 34	„
ბათომისაკენ	— საღამოს	— 7 ს. 5	„
„	— დილის	— 7 ს.	„
ფოთისაკენ	— დღისით	— 4 ს.	„
ტყიბულისაკენ	— დილის	— 8 ს. 40	„
ხაშურიდან	—დღით	— 5 ს. 20	„

დამეკარგა

შავი ჭალადი მრავალი ტანსაც. ეურეები და კუდი შებრალდ აქვს. მაძებარი ჰოდიგეის ნაყოდია. საეკლესიო ნიშანი აქვს ბოიშული და რეზულს ირას მიწეულია. სახელწოდება: „ᲛᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲣᲛᲠᲘᲐᲚᲘᲡᲐᲓ ᲒᲘᲡᲮᲝᲜᲘ ᲛᲝᲘᲪᲔᲡᲗᲐᲜ". ᲐᲛᲝᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲛᲘ: ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲒᲐᲑᲠᲔᲯᲔᲚᲘ ᲥᲣᲩᲐ № 2 ᲛᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲯᲘᲜᲗᲐᲜ. ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲛᲩᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲣᲒᲔᲑᲔᲚᲘ. 3—3

ᲥᲘᲠᲐᲕᲓᲔᲑᲐ

ორ სართულიანი სახლი დიდი ეზოთი, სასწავლებლისთვის ან სხვა რაიმე დაწესებულებისათვის. იურენკოს ქუჩა. წოწონავა 4—3.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ

პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მკაცოდ შეჭკრან კავშირი პროვინციაში—როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

Ს. ᲑᲣᲒᲔᲣᲚᲡ ᲠᲐᲯᲘᲡ ᲛᲐᲡᲠᲐᲨᲘᲓ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ

ძმ. წულუკიძეების **ᲒᲝᲒᲘᲠᲓᲘᲡ ᲐᲒᲐᲜᲝᲡ** მუშაობა. აბანოსთან არის, ცხრა მოწყობილი ოთახი ავთმყოფებისათვის და სუფთა საბანაო თეირი ქვის ვანები. იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავთმყოფებისთვის. გამგე **ᲘᲕᲐᲜᲔ ᲧᲝᲩᲝᲫᲔ.**

ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ:

ᲒᲐ. Ი. ᲒᲝᲪᲘᲔᲚᲘ ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავთმყოფთათვის, ავთმყოფები მიიღებენ დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

Ა. Მ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავთმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე ᲮᲣᲨᲘᲜᲘᲡ და ᲑᲐᲚᲐᲮᲕᲜᲘᲡ ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

Ი. ᲩᲐᲠᲔᲯᲘᲝᲕᲘ ქალაქის საავთმყოფოს ორდინატორი, იღებს ქანის, ვენერიულ და სიფილისიან ავთმყოფებს.
(სისხლში შესვლა „606" და „914") დღეიდან 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

Ა. Დ. ᲛᲐᲡᲐᲮᲠᲘᲐᲜᲘ (ყოფილი უფროსი ექიმი სმეკის „გულსუსტებიანთა სანატორიისა") იღებს შინაგან და ვენერიულ ავთმყოფებს დილის 8—1 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩარანინის (წულეისკირისეული

სტამბა „ᲛᲘᲜᲐ" ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ქ., სახლი ᲒᲝᲩᲘᲔᲚᲝᲕᲘᲐᲜᲘᲡ